2024 წლის საპარლამენტო არჩევნების ლეგიტიმაციის პრობლემა და საჯარო სამსახურის ინსტრუმენტალიზაცია საქართველოში

ლევან სანიკიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ზურაბ ჭიაბერაშვილი
თანახელმძღვანელი: კახაბერ ურიადმყოფელი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2026

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ლევან სანიკიძე

20.06.2026

აბსტრაქტი

მოცემული კვლევა განიხილავს 2024 წლის საქართველოს საპარლამენტო არჩევნების კონტექსტში საჯარო სამსახურის ინსტრუმენტალიზაციის პრობლემას და მის გავლენას ხელისუფლების ლეგიტიმაციაზე. კვლევის მიზანია შეისწავლოს საჯარო ადმინისტრაციის პოლიტიზაციის ფორმები, ადმინისტრაციული მექანიზმები და მათი გავლენა ბიუროკრატიულ ნეიტრალიტეტზე, ინსტიტუციურ ნდობასა და მმართველობის ხარისხზე. კვლევის ძირითადი კითხვაა, როგორ აისახა 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების პერიოდში საჯარო სამსახურის ინსტრუმენტალიზაცია ხელისუფლების ლეგიტიმაციაზე საქართველოში. თეორიული ჩარჩო ეფუძნება ბიუროკრატიული ნეიტრალიტეტის, ინსტიტუციური მიუკერძოებლობის, მმართველობის ხარისხისა და დემოკრატიული ლეგიტიმაციის თეორიებს. კვლევა ემყარება თვისებრივ მეთოდოლოგიას და შემთხვევის სიღრმისეული ანალიზის მიდგომას. გამოყენებულია დოკუმენტური და კონტენტ ანალიზი, ასევე ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუები. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ საჯარო მოხელეთა პოლიტიკური მობილიზაცია, საკადრო პოლიტიკის პოლიტიზაცია, ადმინისტრაციული რესურსების სელექციური გამოყენება და ანგარიშვალდებულების მექანიზმების სისუსტე ასუსტებდა ბიუროკრატიული ნეიტრალიტეტის აღქმას და ამცირებდა ინსტიტუციურ ნდობას. მიგნებები მიუთითებს, რომ საჯარო სამსახურის ინსტრუმენტალიზაცია უარყოფითად აისახებოდა ხელისუფლების ლეგიტიმაციასა და დემოკრატიული მმართველობის ხარისხზე, ხოლო საჯარო ადმინისტრაციის მიუკერძოებლობა წარმოადგენს ინსტიტუციური მდგრადობისა და დემოკრატიული ლეგიტიმაციის მნიშვნელოვან წინაპირობას.

საკვანძო სიტყვები: საჯარო სამსახური, ინსტრუმენტალიზაცია, ბიუროკრატიული ნეიტრალიტეტი, ლეგიტიმაცია, ინსტიტუციური ნდობა, ადმინისტრაციული რესურსები.

Abstract

This study examines the problem of public service instrumentalization in the context of Georgia's 2024 parliamentary elections and its impact on governmental legitimacy. The aim of the research is to explore the forms of public administration politicization, the administrative mechanisms through which it operates, and their effects on bureaucratic neutrality, institutional trust, and the quality of governance. The main research question is: how did the instrumentalization of the civil service during the 2024 parliamentary elections affect governmental legitimacy in Georgia. The theoretical framework is based on the concepts of bureaucratic neutrality, institutional impartiality, quality of governance, and democratic legitimacy. The study employs a qualitative methodology and a case study approach. The research methods include document analysis, content analysis, and semi-structured interviews. The findings demonstrate that the political mobilization of civil servants, the politicization of personnel policies, the selective use of administrative resources, and weaknesses in accountability mechanisms undermined perceptions of bureaucratic neutrality and reduced institutional trust. The results indicate that the instrumentalization of the civil service negatively affected governmental legitimacy and the quality of democratic governance, while the impartiality of public administration remains a crucial prerequisite for institutional resilience and democratic legitimacy.

Keywords: civil service, instrumentalization, bureaucratic neutrality, legitimacy, institutional trust, administrative resources.